



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302210421  
თარიღი: 14/04/2022  
პინი: 9930

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ განსახილველად საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადებული განმარტებითი ბარათი.

იხ.დანართი; 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის  
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის  
 საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური



წერილის ნომერი: 05-302210420  
 თარიღი: 14/04/2022

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური-ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი

ადრესატი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის  
 ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის  
 უფროს ქალბატონ მაგული კუნჭულიას  
 საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის  
 განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 748000 ლარი, რომელიც ბიუჯეტში უნდა აისახოს, როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვით ნაწილში.

ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციის ცენტრის დაფინანსება შემცირდეს (სუბსიდირების მუხლი, რომელიც მიზნობრივად გამოეყო მეწარმეების განვითარებისათვის) 100000 ლარით და მიიმართოს მუნიციპალიტეტში (ორგ.კოდი 02 11) მეწარმეობის განვითარების პროგრამის განხორციელებაზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების“ ცენტრის მომსახურების არეალის გაზრდისა და შესაბამისი სპეცტექნიკის (6 ერთეული) ექსპლოატაციის ხარჯიდან გამომდინარე მიმდინარე წლის დაფინანსება უნდა გაიზარდოს დამატებით 200000 ლარით, მათ შორის: შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართება 90000 ლარი, ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯებზე 110000 ლარი. ამასთან, დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში ორგანიზაციის წინადადებით უნდა შემცირდეს ოფისის მუხლი 2000 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 4000 ლარით. აღნიშნულის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 6000 ლარით.

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების სისტემის მუშაკთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით დაფინანსება გაიზარდოს 78000 ლარით, მათ შორის 74445 ლარი მიიმართოს შრომის ანაზღაურების მუხლში, 3555 ლარი შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურებაზე.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის მიმდინარე წლის 14 აპრილის N19 წერილის საფუძველზე შემცირდეს შრომის ანაზღაურების მუხლი 29000 ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 25000 ლარით და

არაფინანსური აქტივების მუხლი 4000 ლარით.

განხილული იქნა შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს მიმდინარე წლის 7 მარტის N01-070322 წერილი 250000 ლარის გამოყოფის თაობაზე. განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა 200000 ლარის გამოყოფა მიზნობრიობის განსაზღვრით.

დამატებით 478000 ლარის ოდენობით აღებული ვალდებულებების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს არაფინანსური აქტივების (გაყიდვით) აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლის გეგმა 300000 ლარით, ხოლო 178000 ლარის დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

პატივისცემით,

როლანდ ლაშხია

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი